

# მშენებელი

# პატირახი № 4

იუმორისტ. ჟურნალი

სიხარბე და გაუმადლობა.



სიხარბე. ჩაიცივით გრიგორი გრიგორი, მშვენივრად დაგადგებათ.

გაუმადლობა. რას ინაზებით, არკალი ნაზარი, გაუყარვთ ხელი, ხომ ხედავთ იმ მაულისა არის.



## ბრძოლის ველზე.

თქვენ, ბატონებო, თბილსა და რბილ ბუმბულში ჩაწოლილნი, მაძღარნი და კმაყოფილნი, საფრთხესა და განსაცდელს განშორებულნი, რა თქმა უნდა ვერ გაიგებთ იმ გასაჭირს და სასოწარკვეთილებას, რომლის წინაშე ვიდექი მე სასიკვდილოთ და მკვლევლობისათვის განმზადილი.

ის ხიდის ყური, რომელსაც მე ვიცავდი მტერთაგან საუცხოოდ იყო გაშავებული. ღრმისა და წყლით აღსავსე თხრილებს მოსდევდა ათიოდე რიგი ეკლიანი ღობისა, რომელთაც კვლავ თხრილი და სიმაგრეები ეკრა. აუწერელი სიცივი, არ ვიცი ვგონებ სამოცი გრადუსი იქნებოდა სუსხავდა ყველაფერს და ჩემს მოგრძო უღვაშებს ბროლის ჩურჩხელებით ამკობდა. საშინლად მიკვირდა, თუ ამ მთის წვერზე რამ ამოიტანა ასეთი სიცივე, როცა შორს, დაბლა ატმებიც ყვავიან თურმე.

მუხლამდე წყალი იდგა ჩემს სანკრებში და კარგათ აღარ მახსოვს ჩაყინული ვიყავი შიგ, თუ შემემძლო მოძრაობა; არ ვიცი იმიტომ, რომ არა მქონია, არც სურვილი და არც შემთხვევა ჩემი საფარისათვის თავი მიმენებებია. ჩემთვის უმჯობესი იყო (გარწმუნებთ ეს შეგნებულათ მქონდა გადაწყვეტილი) იქვე სახელოვანი სიკვდილი, ვიდრე უკან დახევა.

მთელი დამე ფხიზლათ გავატარე, რადგან მოწმენდილ ცის ლაქვარზე გასაოცრად ბრწყინავდა ორიონის ვარსკვლავთ კრება და მისი მშვენიერება სირიუსი. ბუნების მშვენიერებამ გამიტაცა. მახლო ბელ სანგრებიდან მესმოდა მშვენიერი ხმა გრამოფონისა, რომელიც ჩვენთვის ბიძია არშაკ მილოვს გამოეგზავნა.

უკვე მეორეთ იყივლა მამალმა! გარწმუნებთ, ეს ჩემი ყურით გავიგონე და არ შევცდები ამ შემთხვევაში, ვინაიდან მამლის ყვირლს მშვენიერად ვარჩევ სხვა მაგალობელ ფრინველთა ჰანგებისაგან. დიან მამლებმა მეორეთ დაპკრეს საყვირი, რომ ჯერ კიდევ თაღხით მოსილი ცის გუმბათი ცეცხლის ბურთმა გააპო და ჩემს მახლობლათ მეხივით ჩამოვარდა.

უნებლიეთ გამაქრჯოლა და ვგონებ მოუთმენლობისაგან ცახცახი დაეწყო.

ბურთს ბურთმა უპასუხა და ასე ჩემს ირგვლივ ჯოჯოხეთი აღსდა. არ ვიცი სად მინახავს მაგვარი

რამ. ერთხელ „სინათლის“ წარმოდგენას დავესწარი, მაგრამ ის ამის აჩრდილადაც არ გამოდგებოდა. გული მიცემდა, სისხლი ყელში მომეხინა და თავს ძლივს ვიჭერდი: ველოდი მხოლოდ ბრძანებას იერიშით მისვლისას. ის, ვისაც ეს თავის თავზე არ გამოუცდია ოდნავთ ვერ წარმოიდგენს რას ნიშნავს „სისხლის წყურვილი“, თუნდაც ბ-ნი გ. ქიქოძის წერილები ყველა ბოლომდე ჰქონდეს წაკითხული.

თოფ მომარჯვებული მზათ ვიყავ მისასევად, რომ ჩემს გვერდით, თითქმის ჩემს ყურთან ტყვიამ ჩაიარა და რაღაც ჩამიჩურჩულა. ვინ იცის შემდეგ სად, ვის მკერდში გაცივდა ის ჰატარა მკებნარა ფოლადის რკო.

— მოდიან... მოდიან... მოდიან!..ო

გაისმა ჩემს ირგვლივ და მართლაც ოდნავ განათებულ სერზე შავი ღრუბელივით გადმოწვა მტრის ჯარი. არ ვიცი რატომ არ ამოვბტი ჩემი სანგრიდან, რატომ არ ვეკვეთე თუნდაც მარტო, ძლიერსა და ურიცხვ მოერიშეთ, მაგრამ ვფიქრობ ამისი მიზეზი, უმთავრესად ჩემში დისციპლინის გრძობითა სიძლიერე იყო.

შავი ზვაი ნელ-ნელა ეშვებოდა ფერდობიდან და ჩვენს სანგრებს უახლოვდებოდა. აი მოაღდა კიდევ პირველ დაბრკოლებათ, გადმოლახა ის და შიდის. მუსრს ავლებს ყველაფერს.

სისხლი მიჩქეფს, გულს გაცხარებული დუგდუგი გააქვს. მიკვირს რატომ ჩვენი მხრიდან არაფერი აღარ ისმის! ნუ თუ ყველანი ამოსწყვიტეს? ან იქნებ ბრძანება იყო უკან დახევისა და მე არ გამოვიგა? შეიძლება ფიქრობენ სათოფზე მიშვებას, რომ შემდეგ „დასცხონ“, როგორც გაზ. „საქართველოს“ მიმოხილველები სწერენ ხოლმე?

მტერი კი შიდის, სულ წინ მოიწევს. გლეჯენ ეკლიან მავთულის ღობეებს, ანგრევენ თხრილებს, ავსებენ ორმოებს და გვიახლოვდებიან. ერთი შავგრემანი მეომარი პირველი მოაღდა ხიდის მეორე კიდეს. თოფი მოვიმარჯვე, შინდა ვესროლო, მაგრამ ვყოყმობ, ვერ ვბედავ. ვისაც ეს თავის თავზე არ გამოუცდია ის ხუ გამიმტყუნებს. ვყოყმობ ვინაიდან ჯერ ბრძანება არა მაქვს და რომც მქონდეს ვხედავ და ვიღაც ნაცნობს მაგონებს. ისიც შესდგა. ალბათ იმასაც ვემცნაურეთავში ცეცხლი აღუღდა. როგორც სასამართლოს არქივში, ისე დაიწყო ქექა ჩემი მეხსიერების საწყობში, მაგრამ არ იქნა, მე ჩემი მტრის ვინაობა,



ვერ გავიხსენე. წარმოიდგინეთ ისიც ვერ გავარკვიე, ქალი იყო თუ კაცი.

ქეშმარიტათ სიბრალოლის ღირსია ის, ვისაც ამ გვარი სულიერი ბრძოლა არ განუცდია!

და თუ მე ჩემი ძველი მეგობრის მკვლელი არ გავხდით, ეს მხოლოდ უცაბედ შემთხვევას უნდა მიეწეროს. სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ერთმანეთს სიკვდილ სიცოცხლის სასწორზე ვსწონიდი, ჩემს წინ უზარ-მაზარი ყუმბარა დაეცა. აუწერელის ძალით იფეთქა და ირგვლივ საშინელი სულ შემხუთავი კვამლი დააყენა.


და მე ჯერ გონს არც კი მოვსულიყავი, რომ ჩემი მეგობარი, მოულოდნელათ ჩემს ოთახში შემოჭრილი გამაღებით ეცა ცეცხლის ალში გახვეული ჭილობს და გარეთ გააგდო. მეც, რასაკვირველია, წამოვხტი, იატაკზე გაბნეული შუშის ნატეხები, ავკრიბე და როცა მარცხი თავიდან აცილებული იყო მიწყვეტით სავარძელში ჩავეშვი.

— კაცო, გამიგონია ღამე ოთახში ანთებული ლამპის დატოვება. დახედე 20<sup>0</sup>/<sup>0</sup> სითბოა და რა აუტანელი სუნი სდგას. კიდევ კარგი, ასე მშვიდობიანათ გადარჩით. — მითხრა მეგობარმა.

— სულ ერთია, ძმაო, გინდ აქ მომკვდარხარ გინდ იქ.

ქეშმარიტად სიბრალოლის ღირსია, ვისაც ყოველივე ეს არ გამოუცდია!

ეშმაკი.



# ჯოჯი.

ერთხელ ერთ გლეხს,  
მდიდარს, შემძღეს  
(რა თქმა უნდა გლეხთა შორის)  
მოესურვა საოჯახოთ  
ყოლა ერთი კარგი ჯოჯის.  
მიტომ რომ ის სახედარად —  
გინდა მთაში, გინდა ბარად —  
ცხენს აჯობებს გაცილებით,  
ქურდიც არ სდევს მოსაპარად.

არც კვებაა მისი ძნელი, —  
ყბის მოქნევა იცის ნელი.  
ყოფნის ქამა რა ფუჩჩის,  
არ ვთხოვს ის ქერს,  
მხოლოდ ოხერს,

თუ იხელთა ტურა ერჩის.  
ერთი სიტყვით ყოველ გვარად,  
წარსულში თუ აწდა მარად  
(სახედარად მხოლოდ, სხვა რად!)  
იგი სხვაა და ცხენი სხვა,  
საქმე მარტო იმაშია

ხოლომე, ზურგზე თუ შეგისვა,  
და არ არის, რომ იტყვიან,  
ის ოჩანი და ღვთის რისხვა,  
თორემ ის რომ ამტანია  
ცხენზე მეტად ჯაფა-შრომის  
და ნაკლებად ეჭირვება  
ხარჯი ქამის და გაძლომის

ვინ არ იცის... ამიტომაც,  
(რა კი ჰქონდა ყიდვის ნდომაც)  
დაიფიწყა გლენბა ყველა,  
ტურა ერჩის მას, თუ მელა  
ან თუ რაც სდევს იმის ყოლას  
ათასგვარი ხათაბელა

და იყიდა ერთი ჯორი, —  
მონაძებნი შორით შორი.  
სანაქებო, დიდებული.  
პატრონისთვის რომ გეკითხა,  
სინდისზე ხელ მიდებული —  
ათას ჯორში არ ერია  
იმის მეტი ღირებული.

მოდგმით იყო (სხვა რომ არ ვთქვათ)  
ახალციხის ვირებული.

მოიყვანა, აპატივა,  
დაუყარა ბლომად თივა,  
აქამა, არ მოაშივა.  
მაგრამ ჯორთან,  
(თუნდ ჩოჩორთან)  
რაც აამო არ გაგივა.

როცა გაძლა და გასუქდა,  
(კარგი ქამა მაშ რას უქდა)  
და მოიცა კარგა ძილა,  
ჯიშმაც თავი არ დამალა, —  
პატრონი, თუ არ პატრონი  
სულ წიხლებით დაასივა,  
ზოგი იქვე გააგორა,  
მოჰკლა, ხელად გააცივა.



გლებს აუტყდენ მეზობლები,  
 ვერ გაუძღეს წიხლს და ზიანს;  
 გლებიც ველარ დაუმაგრდა  
 საბუთიან „პრეტე“ ზიას“

და ის ჯორი მოიშორა,  
 იმის ზარალს აღარ ჩივა,  
 მხოლოდ გვერდი ნაწიხლარი  
 იმას ერთი ახლაც სტკივა.

ა. ბლიკვაძე



ფ ე ჩ ი.

ქართველი საზოგადოების უბადრუკობის შე-  
 სახებ არა ერთი და ორი წერილი დაწერილა. ვინ  
 არ იცის, რომ საზოგადოებრივი უყურადღებობის  
 მსხვერპლი ჩვენი მრავალია. ყველა ჩვენი საუკე-  
 თესო ქართველი მოღვაწე კაცხალი ნიმუშია სა-  
 ზოგადოების მიერ აბუჩათ აგდებისა და დაუდევ-  
 რობისა.

ჩვენ არა თუ პატივს არა ვცემთ და სათანადო  
 გულის ხმერობით არ ვვპყრებით ჩვენს საუკეთე-  
 სო მოღვაწეებს, ხშირათ ჩვენი დაუდევრობით და  
 უგულობით სასაცილოთ ვიღებთ მათ და თავდაუხ-  
 წეველ მდგომარეობაში ვაგდებთ ხოლმე. ამის მა-  
 გალითი იმდენია, რომ, თუ ყველა დაიწერა, ტო-  
 მები და ფოლიანტები არ ეყოფა.

ამ პატარა შენიშვნაში ჩვენ გვინდა მოვიხსენ-  
 ნოთ სულ ახალი, ჯერ გაუმეღადენებელი ფაქტი,  
 რომლის არსება ისეთი ხასიათისაა, რომ ყველა კე-  
 თილ სინდისიერ კაცს, ვისაც საზოგადოებრივი  
 გრძნობის ნატამალი ოდნავ მაინც უღვივის გულ-  
 ში, მწარე ფიქრთა ქარავანს აღუძრავს და სასო-  
 წარკვეთილებას მოჰგვრის.

ეს ამბავი ამ დღეებში მოხდა...

ზამთრის ცბიერი და მუხანათი სითბო სულ  
 მოულოდნელათ საშინელმა სუსხმა შესცვალა და  
 თბილისის საზარელმა ქარიშხალმა და დაუნდობელ-  
 მა ყინვამ შებოკა. ბუნება აუჯანყდა ყველას, ვი-  
 საც მასთან საბრძოლველი იარაღი— შეშა და თბი-

ლი ბინა—ბედის უკუღმართობის გამო არ გააჩნდა.  
 ნეტარ არიან გლახაკნი სულითაო, ამბობს  
 სამღვთო წერილი.

ნეტარ არიან მდიდარნი ფულითა,—ვიტყვი  
 ჩვენ—რადგან მათ ვერაფერს დააკლებს ვერც ზამთ-  
 რის სუსხი და ვერც ზაფხულის ჰაზანაქება.

ამ ნეტარ რჩელთა რიცხვში, რა თქმა უნდა  
 ვერ ჩავადებთ საწყალ ქართველ მსახიობს, რომე-  
 ლიც, თუმცა გულისა და სულის სიმდიდრით  
 როტშილდსაც არ ჩამოუვარდება, რაც ფულით  
 სიმდიდრეს შეეხება—ამ მხრით ზუბალაშვილსაც  
 ვერ გაუსწორდება.

ამისდა გვართ, დაჰკრა თუ არა ზემოხსენე-  
 ბულმა საშინელმა სუსხმა, ჩვენი მსახიობები თვა-  
 ლის დახამხამებაში, საღდაც გაჰქრენ და თბილი-  
 სის ქუჩებში ერთის დაკრით შეწყდა ჩვეულებრი-  
 ვი ყოყინა და ჟივილ-ხვილი, რომელიც მეღპომე-  
 ნის ქურუმთა წყალობით, ქართველთა დედა-  
 ქალაქს სიცოცხლეს ჰგვრის ხოლმე.

ვინ იცოდა, რომ ამ დროს ბედისა და ბუნე-  
 ბის მიერ განაწირი მუშაკნი ქართული სცენისა,  
 საღდაც, ნახევრათ ბნელ სარდაფში იყვნენ თავშე-  
 ფარებულნი, დამფრთხალ ბატკნებივით, ერთმანეთს  
 ეკვროდნენ და ხელოვნური საშვალეებით ცდილობ-  
 დნენ სიცოცხლისაგან დამზრალ სხეულის გათბობას.

მე და შენ მკითხველო, იმ დროს აღბათ მო-  
 გუზგუზე ბუხარს ვუსხედით, თუ არა და იმდენათ  
 თბილ ოთახში მაინც ვიქნებოდით, რომ უბრალო  
 ცხელი ჩაი საკმაო ყოფილიყო ჩვენ გასათბო-  
 ბათ.

იმათ გაყინულ სისხლს კი ჩაი რას აამოძრა-  
 ვებდა, საჭირო იყო სხვა რამ უფრო მაგარი და  
 რადიკალურათ მომქმედი სითხე, თუნ იმავე ჩაის  
 ფერისა.

ღა აი, როდესაც კოტათი მოსულიერდენ,  
 სასაზე მიყინული ენა აამოძრავეს და ტუინიც აამუ-  
 შავეს, უეცრათ გონება გაუნათლდათ და თვალ-  
 წინ ცხადათ დაუდგათ მთელი სიგრძე სიგანით თა-  
 ვიანთი მდგომარეობის უმწეობა.

— ასე ცხოვრება არ შეიძლება! — ბოხის ხმით  
 წარმოსთქვა უზუცესმა რეზონიორმა.

— ასე ცხოვრება არ შეიძლება! უფრო ბო-  
 ხის ხმით გაიმეორა გმირ-რეზონიორსა.

— არ შეიძლება! კვერი დაჰკრა ბარიტონის  
 კილოით პრემიერმა.

— მართალია! — რეჩიტატივით დაადასტურა  
 მოკარნახემ.



— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? — ერთხმათ იკითხა ყველამ, და უხუცესმა რეზონიორმა, თითქო წინდაწინ ჰქონოდას პასუხი დამზადებული, საკითხი მოსჭრა:

— ჯერ უნდა რიგიანათ შევბოთ!

— ხოლო, როდესაც ტემპერატურა ხუთიოდე გრადუსით კიდევ ასწიეს, კვლავ დაუბრუნდენ თავსატეხ საკითხს.

— როგორც ეტყობა, ეს ქარი და ყინვა ვერც ადვილათ არ შეწყდება — დაიგუგუნა უხუცესმა რეზონიორმა.

— წუთში კი არა გვიჭირს-რა, მაგრამ ქუჩაში რომ გავალთ? დაიქუბა გმირ-რეზონიორმა.

— საზამთრო პალტოები მაინც გვქონდეს! — ინატრა პრემიერმა.

მოკარნახემ მხოლოდ ირონიული სლოკინით უპასუხა პრემიერის ფანტანსტიურ ნატვრას.

— ევრიკა! — დასქექა უეცრათ უხუცესმა რეზონიორმა ისეთი ხმით, რომ სიბნელეში ჩამწყრივებულ ბოქებს ცახცახი დააწყებინა, ხოლო ერთ მათგანს კრანიც კი მოეშვა შიშისაგან.

— A la guerre, comme à la guerre! — განაგრძო იმავე რეზონიორმა: რა კი ომიანობაა, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც მეომართ შეჭფერის... ამხანაგებო! ჩვენს მდგომარეობაზე სიტყვის გაჭიანურება მეტია ვინაიდან ქართველ მსახიობს სხვა აუცილებელ საჭიროებასთან ერთად ბინაც არ მოეძევა, რათა ამ სუსხიან ქარში თავი შეაფაროს და გაყინული ძელები გაითბოს, ვაცხადებ ქალაქ თბილისის ფეჩების რეკვიზიციას და ვალად გდებთ, თითოეულმა თქვენგანმა საკუთარის ინიციატივითა და ძალღონით შეიძინოს თითო ფეჩი და თან ატაროს ქუჩაში, ვიდრე ეს სუსხი არ გადივოს!

— ვაჰა! დასძახეს ერთხმათ დანარჩენებმა და რაკი ტემპერატურა უმწვერვალეს გრადუსამდე იყო ასული, მყისვე აიშალნენ ფეჩების რეკვიზიციის მოსახდენათ...

ჯერ ჯერობით, როგორც ირკვევა, მხოლოდ ერთ მათგანს შეუსრულებია გადაწყვეტილება, სახელდობრ გმირ რეზონიორს და საღამოობით, როდესაც თბილისის ქუჩებში განსაკუთრებულის სიმძაფრითა დაჰქროლავს სუსხიანი ქარი, გალავინის პროსპექტის გამველები გარს ეხვევიან უჩვევსა და უცნაურს სურათს:


ქუჩის ტროტუარზე დგას კარგა მოზრდილი ნაფთის ფეჩი, რომელსაც ყეინსავით გადაბოტებია

გმირი რეზონიორი და ცხოველ მყოფელი ცეცხლით გახალისებული გულმოდგინეთ ზეპირობს თავის როლს...

ახლო მომავალში სხვა ფეჩების რეკვიზიციასაც უნდა მოველოდეთ...

თბილისელებო გაუფრთხილდით ბუხრებს!..

ეშვი.



# დამარხვა.

(სატირა)

(დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის დაგრძაფვის დღეს)

## პირველი მგოსანი.

აჰა, დაჰხედეთ, ვის ვმარხავთ, ვისა! ვარსკვლავთ საღარი, მეტოქე მზისა... ქირისუფალი აქ მარტო მე ვარ, ამ განსვენებულს მხოლოდ მე ვგვევარ!

## მეორე მგოსანი.

მე!.. მე უფრო ვარ დარბაისელი, მემკვიდრეობას შენ რისთვის ელი? კუბოსთან დგომაც მე ჩამაბარეს, არც კი მოუშვებ აქ შენს მავგარებს.

## მესამე მგოსანი.

ან კი გაცოცხლდეს, რაღა ვქნა კაცო, უნდა მივიდე და ხელი ვტაცო.

## სხვა მგოსნები. (ალარ აკლიან)

ჩვენც ყველანი აქა ვართ, ყველას გვინდა ერთადა — ამის შემდეგ ქვეყანამ ჩვენ დაგვისახოს ღმერთადა.

## ქართ. ქალთა საზ. —

ჩვენც აქა ვართ... ტირილით დავითხარეთ თვალები. какъ онъ нѣжно любилъ нас!.. — ქართველი ქალები.



**პირველი დიაცი.**

მე კვალად შემემძლება  
მწუხარების გადაზღვა,  
ისარით გარს მეველება  
კუბიდონი სხვა და სხვა.

**ერთი კაცი.**

ამ კუბოსთან დამითმეთ  
მეც ადგილი პატარა,  
თავის პირად საქმისთვის  
ბევრჯერ, ბევრგან მატარა;  
— „ამ ერთ წუთში ბატონო!“  
წავსულოვარ და მოვთქვამ თან,  
ერთი სიტყვით მეკუთვნის  
ახლო დგომა დიდ გვამთან.

**ერთი, ხალხიდან.**

— აბა მეც გამატარეთ.

**მოწესრიგე.**

— უკაცრავად, დაიწით.

**ერთი ხალხიდან.**

უარს როგორ მიბედავთ?  
მე... ვინა ვარ, არ იციოთ?!

**ცხედარი.** (წამოიწყეს ლაპარაკით)

ნუ ჩხუბობთ და ნუ დავობთ,  
ვისაც გსურდეთ მნახევით  
გინდათ—ნარმის ნახევით.  
სულ ერთია, სულ ერთი!  
ერთი — ადამიანი.

**ხალხი.** (ელდანაცემი)

ა... წაგიდეთ... არავის  
მოგვაყენოს ზიანი.

**თავხელი.** (ესეც მგოსანია, ცხედართან ესლა დარჩა)

აი, აჰა! ხომ ჰხედავ,  
რა უშიშრად მოვედი  
მე გახლავარ... აჰ, მე ვარ  
ახალ-გაზრდა პოეტი.

(ცხედარი წამოიწყეს, უნდა შეჰხედოს)

**ისევ თავხელი.** (ხელებს ასწევს)

კმარა!.. რა რიგ ველოდდი  
დიდი მგოსნის სახელსა,  
მაგრამ ვის მოვაგონდი  
შენის ნიჭის მნახველსა.

(გარეთ)

ჰეი, მხდალნო, სადა ხართ?!  
(გამოცვივიან სხვა პოეტები)

**თავხელი.** (მიცვალებულზე უჩვენებს)

თუ დაბრუნდა—გავქრებით,  
როგორც გაკოტრებულნი  
ნისიების დავთრებით...

**მგოსნები.** (ერთად)

უთხარ, უთხარ წავიდეს...  
უთხარ... შენ თუ გაჰბედავ...  
თუ დაბრუნდა გავქრებით,  
ვაი დედავ, ვაჰ დედავ!

**თავხელი.**

თუ არ წავა, მე წავიყვან ძალათი...  
მე ვიქნები... მე ვიქნები ჯალათი!..

**ცხედარი.**

ნუ სწუხდები, ძმობილო;  
დაამშვიდე ყველანი.

(გაღეშვება კუბოში და სახურავი დაი-  
ფარება).

**თავხელი.**

აბა ჰეი, მომართვით  
ქალალდი და მელანი.

(მკლავებს აიქნევს)

ლონიერი აქ მე ვარ,  
მე დავექედე ფიცარით  
პოეტათ თუ მგოსნათა  
მე, მარტო მე მიცანიო.

(ხალხი ისევ მოედინება. მგოსნები ორ-ორნი  
თუ სამ-სამნი ერთმანეთს ეთათბირებიან პირმოთნეთ,  
ხან შეერთდებიან, თავხელიც მათშია, ორნი მას  
არწმუნებენ უპირატესობა არავის—სულ ერთნი  
ვართო. თავხელი სხვებთან გადავა, ეს ორნი ცალ-  
კე ყოყორობენ: სხვა ჯგუფიდან ერთი იძახის ხელ-  
ჩაქნევით, სულ ერთიაო. ორი პირველი ცალ-  
ცალკე ერთმანეთს ემუქვრიან. სხვა ახალგაზდა  
მგოსნები ქალებს ეტანებიან თავგამოდებულ არში-  
ყობით, ერთი მოსასხამს უტარებს ქალსა და სხვ.  
ერთი მგოსანი იქვე ლექსს სწერს და ქალს წარუ-  
დგენს, ის ქალი დობილებს უჩვენებს, მათში ჩოჩ-  
ქოლი ატყდება და ერთმანეთს ავტოროზე უთითებენ).

**ხმები.** (ქალებიდან)

ახალგაზდა პოეტი!  
ახალგაზდა პოეტი!

**პირველი მგოსანი.**

ქალებს ჩემი სალამი!  
აჰა, თქვენთან მოვედი!

(ისევ ვაჟებში შეერევა)



**მგოსანი.**

ხელათ ლექსი დაესწერე, (კიახულობს)  
წაგიკითხავთ... კარგია?  
(მოეწონათ)

მაშ ქალებს გადაუგდებ,  
ჩემთვის რაღა ბარგია...  
(ქალები „ვაშას“ და „ჰაეროვან კოცნას“  
უპასუხებენ გაუთავებლათ)

**მეორე მგოსანი (ამხანაგს)**

ჰხედავ, რა მოახდინა!  
მიიზიდავს ყველასა.  
ისევ წავალ ცხედართან,  
იმას მოვთხოვ შეველასა;  
ხელს კუბოზე ჩავკიდებ,  
ვიგლოვ თავის დახრითა,  
ეგებ მუზა მაჩუქოს  
მთელი მისი დახლითა.

**მესამე მგოსანი.**

მე-კი მთლად გავშორდები  
ამ მიდამო—არესა,  
თორემ შურმა ჩემს გულში  
შხამ-ნაღველი გაღესა...

ისახარ.

**გამოცანა.**

(ბათუმისთვის)

დღეს ამაყი, თავ მომწონე  
ჩვენი გვირი ერთსა დროში,  
დიდსა კრიზისს განიცდიდა  
არა ჰქონდა ბისტი-გროში.  
დაბალ „პოსტზე“ მსახურებდა  
უმნიშვნელო ჯამაგირით,  
(რომლის ნაკლსაც ვერ ივსებდა  
ვერც წანაგლეჯ ქრთამი-ქირით).

სულ უბრალო ვინმე იყო  
არც კი სთვლიდნენ მაშინ კაცად,  
(ღმერთო გცოდებ, თუმცა იგი  
ეხლაც არ ღირს კიტრის ფასად).  
მაგრამ ომის მძაფრი ქარი  
როს შრისხანედ აზუზუნდა,  
ჩვენს კაცუნას ბედის ჩარხი  
მაშინ წაღმა დაუბრუნდა.

ბათუმის მთელს არე-მარეს  
მუშა ხალხი მოეფინა

და ისიც ქურქ გამოცვლილი  
მათ უფროსად მოეფინა.  
სინდისი და ნაშუსი  
ალარ შერჩა მდოგვის წონა,  
მკაცრ ბატონად გადაიქცა  
გუშინდელი მხდალი მონა.

და უშიშრად გულმოდგინეთ  
უწყო მუშებს ძარცვა ყვლიფა,  
(საწყალ მუშას, სულიც გასძვრეს,  
იგი მას არ ენადვლება).  
ცოცხლებს კაცად არა სთვლიდა  
(სიაში თუმც მკედრებსაც სწერდა)  
ვაი იმის ბრალი, ვისაც  
იგი ხელში ჩაიქერდა.


ეპყრობოდა ისე, როგორც  
შვენის მისებრ გაიძვერას,  
რადგან სწამდა რომ მუშები  
ვერ ავნებდნენ მაინც ვერას.  
ბევრი შრომა-ღვაწლის ფასი  
იმან მსხვერპლად შეიწირა,  
და მრავალი მუშის ფული  
მის ჯიბეში ჩეიძირა.

და მუშებმაც ეს წურბელა  
მანამდის ვერ მოიცილეს,  
სანამ „მარინსკი პროსპექტზე“  
გვერდები არ დაუზიდეს:

დღეს ისეთი აღარ გახლავთ,  
რაც რომ იყო ომის წინად,  
ამაყი და ფულიანი  
დაბრძანდება არხეინად.


ჰო და მგონი უკვე მიხვდით,  
თუ ვინც არის ეს პირ შავი,  
მაშ ვისურვოთ, ცოტა მალე  
ღმერთმა გვთხოვოს მისი თავი.

კვახი.






# ვის რა ჯიბე აქვს.





# ვის რა ჯიშის აწევს.





# საარჩევნო ციებ-ცხელება.

ერთ მოქმედებიანი ვოდვეილი.

(მოქმედება წარმოებს ქ. გარში.)

მომქმედნი პირნი:

ლორდ-მერ კიტტი.

სენიორე რიჟიანო.

პარმენო პროვოკაციო.

სერ ვივიანი.

სერ გრიგოლიანო.

დონ სანჩო-პანჩო.

დონ ბეროზა.

დონ როგორ-გავიბედლო.

სერ პორტმეისტერ.

დონ ვასილიო.

მისტერ გვეალი.

მისტერ ანზანიძე.

მისტერ ნიკოლო.

სენიორე გაჩეჩილი.

სენიორე კლიმიო.

ხმოსნები.

მანდილოსნები.

მოწყალეების დანი და სხვ...

პირველი სურათი.

(კრება თვითმშარფელობის დაჩაზში.)

**ლორდ-მერ კიტტი.** ბ-ბო! მე თქვენ დღეს იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ახალი ქალაქის მერი აირჩიოთ.

**სანჩო პანჩო** რაო? ახალი მერო? თქვენ სად მიბრძანდებით? არ შეიძლება ვიცოდეთ?

**ლორდ-მერ კიტტი.** (ამაყად) მე ამ დღებში ჰაერობლიანით სპარსეთში უნდა გადავფრინდე. მე მინდა ეხლა თეირანის მერი გავხდე. მომწყინდა აქ ყოფნა.

**სანჩო პანჩო.** (ჭირის) არ შეიძლება, ლორდ მერ, მეც თან წამიყვანოთ ჩემი აფთიაქით. ღმერთმანი მუქთად გიწამლებთ.

**ლორდ-მერ კიტტი.** რატომ? დიდის სიამოვნებით. თქვენც წამობრძანდით...

**ხმოსანი.** (შეეკითხება ლორდ-მერს) არ შეიძლება ვიცოდეთ როდის იქნება ახალი მერის არჩევა?

**ლორდ-მერ კიტტი.** (შკაპრი კილოთი) დეგდეთ!.. ზეგ საღამოთი...

**ხმოსანი.** (მიმართავს თავის ამხანაგებს). ბ-ბო! მაშ დავასახელოთ კანდიდატები. (ასახელებენ სერ გრიგორიანოს).

**ლორდ-მერ კიტტი.** (მიმართავს საზოგადოებას). თანახმა ხართ, ბატონებო?

**სენიორ კლიმიო.** (მუშტს უღერებს) ხედავთ, ამ ცხერის თავს? თავს გაუპიბ შუაზედ სერ-გრიგორიანოს, თუ ეგ მერად აირჩიეთ!..

**სენიორ გაჩეჩილი.** (ბებუთს იძრობს). ხედავთ ამ ბებუთს? მუცელს გამოუფუშამ მაგ ვაუბატონს!

**ლორდ-მერ კიტტი.** (კმაყოფილად იღიმება). დაბრძანდით, ბატონებო! ნუ ღელავთ!

**მისტერ ნიკოლო.** (სიტყვას თხოულობს). ბ-ბო! მე წინააღმდეგი ვარ დასახელებულ კანდიდატისა, ვინ არ იცის, რა ტრადიკულ მდგომარეობაშია ჩვენი უბედური ქალაქი? ვის შეუძლია მისი მერობა, თუ არ ჩვენ სახელოვან (საზოგადოებაში მოუთმენლობის მღელვარება) და დიდებულ, ზეგარდმო მადლის ნიჭით ცხებულ ტრადიკოს მესხიშვილს! ბ-ბო! ჩემი კანდიდატი ლადო მესხიშვილია! (გაისმის მხურვალე ტაშის ცემა).

**მისტერ ანზანიძე.** ბ-ბო! მე კიდევ სულ სხვა-ნაირად უყურებ საქმეს. ჩემის აზრით ჩვენი ქალაქის მდგომარეობა ტრადიკული კი არა კომიკურია. ჩემი კანდიდატი დიდებული კომიკი—ვასო აბაშიძეა. (გაისმის ძლიერი ტაშის გრიალი).

**მანდილოსანი.** მე წინააღმდეგი ვარ ყველა დასახელებულ კანდიდატისა. ჩვენ ეხლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ არ შეიძლება ახალი იდეებს ანგარიში არ გაუწიოთ. თქვენ მამა კაცები მხოლოდ თქვენ თავზედ ზრუნავთ. მე, როგორც განათლებული მანდილოსანი და ქალთა ემანსიპაციის მომხრე ვასახელებ (მღელვარება) ჩვენ სახელოვან... ნინო ჩხეიძეს. (ისმის საშინელი ტაშის გრიალი).

**ხმოსანი.** ბ-ბო! ჩვენ ნამდვილი მუშაკი და მშრომელი კაცი გვინდა მერად!

**სენიორე კლიმიო.** (რიხიანად) მე არ მესმის ეს სიტყვები. ყველა სულდგმული — მშრომელია! მაგალითად მე მშრომელი არა ვარ? ვარ! რათა? იმიტომ რომ თვეში სამოც თუმანს ვათვთრებ!

**სენიორე გაჩეჩილი.** (ტაშს უკრავს) მე კიდევ ორმოც თუმანს!

**სანჩო პანჩო.** ბ-ბო! ნუ აფქარდებით. მე გუშინ თბილისში გახლდით და ვინახულე ჩვენი სა-



ზოგადო მოღვაწეები. მოუცადოთ იმათ პასუხს. (ამ დროს კარები იღება და შემოდის ტელეგრა-მის დამტარებელი)

**ლორდ-მერ.** კიტტი ხსნის ტელეგრაფს და ხმა მალა კითხულობს) „ჩემი კანდიდატი რუსთა-ველია“.

მისტერვევალლი.

(ყველა პირს აღებს... სიჩუმე...)

**ბ-ნო!** არჩვენებადის სულ ერთი დღე დარჩა. გთხოვთ აირჩიოთ დეპუტაცია და გაუგზავნოთ და-სახელებულ კანდიდატებს: თანახმა არიან თუ არა მერობაზედ. (ირჩევენ დელეგატებს. დეპუტაციაში შედის სანჩო-პანჩო და ანბანიძე.

(კრება იხურება.)

**სურათი მეორე.**

**ლორდ-მერ კიტტი.** ბ-ბო! სამწუხარო ამბავი უნდა გაცნობოთ. ყველა დასახელებული კანდი-დატები კატეგორიულად უარს იცხადებენ. რუსთა-ველთან გვევალლი წასულა. არ ვიცი რა ამბავს მოგვითხროს (ამ დროს კარები იღება და ხელმოე-რედ შემოდის დეპუტატის დამტარებელი).

**სანჩო-პანჩო.** (ველარ მოითმენს) მივარდება დეპუტატის დამტარებელს და ხმა მალა კითხულობს: „უკვდავმა შოთამ კატეგორიული უარი განაცხადა. გუშინ იმისი სული გამომეცხადა და მითხრა: თა-ვი დამანებეთო. ძალიან ვწუხვარ.

გვევალლი.

**P. S.** ქართული ენა არ დაგავიწყდეთ! გიგ-ზავნით ერთ გოდორ კვერცხებს.

გე-ვა-ლლი.

**ლონ-ბეროზა.** (ხმოსანი) ბ-ბო! რახან ეგრეა, მაშინ მეც დავასახელებ კანდიდატს. ჩემი კანდიდა-ტი სერ-ვივიანია. იგი, ბ-ბო, სულ ახალგაზდა ყმაწვილია. ესე ას ოთხმოცი წლისა იქნება. ერთ დროს მეფე ერეკლეს ჯარშიაც იყო. მე მას ძა-ლიან, ძალიან კარგად ვიცნობ. ჩემი დვიძლი ბი-ძაშვილია. ღმერთმანი, ისე უყვარს ჩემი პაწია შვი-ლები, რომ ლამის სულში ჩაიძვრინოს. (ისმის ძლი-ერი ტაში).

**ლონ როგორ-გაგობედო.** (იციინის სულელი-ვით) ჩემი კიდევ დვიძლი მაჰიდაშვილია.

**სერ-პოჩტმეისტერ.** (სთვლიმავს) დიახაც... დიახაც რომ კარგი იქნება! (იძინებს)

**ლონ-ვასილიო.** მე ისევ სერ-გრიგოლიანოს ვასახელებ! (ისმის საშინელი ღრიალი. სენიორე

კლიმო და გაჩეილილი მუშტებს უღერებენ სერ-გრიგოლიანოს).

**მისტერ ანბანიძე.** არ გვინდა ეგ ყრუ! ეგ სქელ კანიანი! ეგ ტვინ გახვრეტილი! ეგ მამა-ძალი! ძირს ვადაგვარებულნი და სამშობლოს შო-ლალატენი (ისვრის ბოლოკებს და დამბალ კვერც-ხებს).

**ლორდ მერ კიტტი.** (ზარსა რეკავს) ბ-ბო! სიჩუმე! გთხოვთ წესიერება დაიცვათ. (თვალს უშვ-რება სანჩო პანჩოს და რაღაცას ეჩურჩულება).

**სანჩო-პანჩო.** (ცალკე გამოიხმობს დონ ვა-სილიოს და რაღაცას ეჩურჩულება). ჩემო ძვირფა-სო მეგობარო! რო იცოდე როგორ მიყვარხარ! (გარედ იტყუებს) წამო გარედ გავისეირნოთ. ისე-თი მშვენიერი საღამოა, რომ ღმერთმანი არ ინა-ნებ.

**დონ ვასილიო.** (მკაცრად) მე არ მესეირნე-ბა. თუ გინდა შენ მიბძანდი!

**სანჩო-პანჩო.** (მალა) მაშ ძალით გაგიყვა-ნენ! ნუ გავიწყდება, ბ-ნო ვასილიო, რომ შენ „ბანკროტი“ ხარ და ხმის უფლებაც არა გაქვს.

**დონ ვასილიო.** (ჯიბიდან რევოლვერს ტარს ამოაყობინებს) ხედავ ამას?

**სანჩო-პანჩო.** (ფერი მისდის) მეგობარო, გე-ხუმრები ღმერთმანი! შენ მართალი გეგონა. (სი-ცილით) მე გეხუმრებობი და შენ კი მართლა გე-გონა.

**ლორდ-მერ კიტტი.** (მოიხმობს სანჩოს) რო-გორ არის საქმე?

**სანჩო-პანჩო.** (ჩუმად) არა შერება!

**ლორდ-მერ კიტტი.** (მალა) მაშ კარგი ბ ბო! ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი კიდევ უნ-და მოგასხენოთ. გუშინ მოსკოვიდან საიდუმლო ქალაქი მივიღე. ეძებენ ვიღაც ვასილიოს. მისი გარეგანი ნიშნები ასეთია: ხმელ-ხმელი, შავ-შავი, სიმაღლე—ორი არშინი, ექვსი ვერშოკი და სამი გოჯი. ცოტა არ იყოს ზოგიერთ ხმოსნებში ეჭვე-ბი მეპარება. (მიმართავს ხმოსნებს) შეიძლება გავ-ზომოთ ყველანი?

მისტერ ანბანიძე } (ერთად)  
სენიორე ანბანიძე } გაზომეთ!  
სენიორე გაჩეილილი } გაზომეთ!

**სანჩო-პანჩო.** (არშინს აწოდებს).

**ლორდ-მერ კიტტი.** (ზომავს. იწყებს ვასილი-ოდან) ერთი... ორა... (უეცრივ სახეზედ გადაჰკ-რამს ნეტარების ღიმილი. ხმა მალა დაიყვირებს).



ვერიკა (თვალს უშვრება პოლიციელს, როელიც დაიჭერს დონ-ვასილიოს და პოლიციაში მიჰყავს. ამ დროს წამოცვივდებიან ყველა ხმოსნები, მივარდებიან პოლიციელს და არ ანებებენ თავის ამხანაგს. დონ ვასილიო ლამის შუაზედ გაგლიჯონ. შეიქნება საშინელი ჩოჩქოლი. კრება იხურება, ლორდ-მერი კიტტი თავის კაბინეტში იმალება).

(სტენა ჭორღ-შერ კიტტის კაბინეტში.)

**ლორდ-მერ კიტტი.** (აღღვებულად) ყოფნა არ ყოფნა? საკითხავი აი ეს არის. მე ხომ მივდივარ, მაგრამ ის... ის... ნუ თუ სერ გრიგორიანო მერად იქნება. (ხელს არტყამს საწერ მაგიდაზედ) არა! ეს არ იქნება!.. (უეცრივ იღება კარები და შემოდინ: სენიორე რიჟიანო, სანჩო პანჩო და პარმენო პროვოკაციო).

**სანჩო პანჩო.** დიდებულო ლორდ მერ! საქმე ძალიან სერიოზულად არის. ხმოსნების ხმა თითქმის შუაზედ დაიყო. სერ ვივიანის შვიდი ხმა ამოსდის, სერ-გრიგორიანოს—რვა ხმა, ერთი ხმა უეცვლად უნდა გამოვტაცოთ ჩვენ მტრებს... უსიკვდილოდ!..

**ლორდ-მერ კიტტი.** ბარემ იცოცხლე, რომ უნდა გამოვტაცოთ, მაგრამ მახლას!.. რა ვქნა შენი ჭირიმე, ვცდილობ.. ძალზე ვცდილობ.. ლამის ჯაშუშობაც კი დავიწყო, მაგრამ ეს ოხერი არა გამოდის—რა! (შუბლზე თითს იღებს და ფიქრობს).

**მისტერ პარმენო პროვოკაციო.** ლორდ მერ! მე მომანდეთ ეგ საქმე მე მოვახერხებ! (რიჟიანო და პროვოკაციო რაღაცას ჩურჩულობენ).

**ლორდ-მერ კიტტი.** მაშ ნულარ ვიგვიანებთ. რიჟიანო! ყუთები დაამზადეთ. შვიდ საათზედ უნდა არჩვენები დავიწყოთ.

**სენიორე რიჟიანო.** (უღვაშებში იცინის და რევერანს უკეთებს ლორდ-მერს).

**ლორდ-მერ კიტტი.** (კისერზედ ჯაჭვს იგდებს) წავიდეთ! (ყველანი გადიან დარბაზში, სადაც მათ უცდის ხალხი და ხმოსნები).

## დევიფსე კაკალი კაცი!..

(გურული სტენა ოზურგეთისთვის)

**გოჯასპირ.** კვი გამარჯობა შენი, ესიკავ! რა წაგვიკიდა, ბიჭო, რავა ინდოურსავით ჩამოგიშვია მაი ჩიჩვირი?..

**ესიკავ.** ჩემი ძამიეი ყბას ნუ მიქცევ; შენ

მასხრობის გუნებაზე ხარ და მე სული მებძვის კისერში, დანა რუმ დამკრა, სისხლი არ წამუა.

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა? ცოფიან ძაღლმა ხომ არ გიკბინა? ფინთი ხომ აფერი წაგკილია? რა მოხთა, ფათარაკი ხომ არ შეგყრია რამე?

— დედავ, ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს!

— ბიჭო, რამ წაგახდინა, რა გაზურზღულეგბ; კაცო, სალდათში რომ ბიჭი გყავს იმას ხომ აფერი წაკილია, თქვი, ბიჭო, რა იყო!

— ჩხუბში რომაა იმას რა უჭირს, იი კარგათაა, მარა სირცხვილი კია მეზობელ კაცმა, არ იცოდე ჩემი უბედურობა და დაფსების ამბავი.

— ესიკავ, არ იტყვი რა დაგემართა? შენ არ ხუმრობ, რაცხა უბედურობა კია შენ თავზე, მარა მე რას გევიგებდი: დღეს ამოვფიდი ბათუმიდან, დოხტურიზა ვიყავი წასული, იქინეი; შენ ქე იცი, ყაზილარი მყავს გონჯათ; ჩამევიყვანე დოხტური და პაწი სული მუათქმევიე ბიჭს და მე აფერი არ ვიცი რა წაგეკიდა!..

— ხო და, სწორეთ იმან დამღება, იმას ვტირი და ვჩივი, რომე ბალანას ვერ მუუარე, ვერ მივხედე, საშვალეა დავაკელი, თვარა მეც რუმ შენსავით დამეწინდრებია ყორიფელი და ბათუმიდან მომეყვანა დოხტური ეგება მიწა არ გამსტკლევცოდა, ეგება არ დავფსებულვიყავი.

— კი, მარა შენ ბალანას რა ქონდა საშიშო? მე რუმ წევედი მაშინ რაცხა შეცივებულს გავდა.

— შეცივებული კი არა, იი რაცხა ჩენი ამომგდები დიფირითაია თუ რაცხა ჭირია იმან და მფსო. წუხელს გავაყრუეთ კვილით აი სერი, დავლუპე ოჯახი; კაკალი ბიჭი, ჩემი ქრისტიფორაი ქე წამართვა იმ დასალუპავ ჟამმა; აი, გიდი!..

— ექი შე უბედურო, ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი! რა მითხარი აი საშინელი, დავფსია, ბიჭო, ოჯახი; უბედურო ქიონიავ, საწყალო ქრისტიფორავ! ნეტამინც რა ბიჭი, რა ჭკუა, რა სტავლა! დაფსებულხარ ესიკავ, ამოგდებია ოჯახი!

— ვაი, ვაი ჩემ გაჩენას, ჩემ გაძაღლებულ სიცოცხლეს.—ღმერთი ამოაგდებს მამინაიშვილის და კეკიეიშვილის ფაიტონს.

— ფაიტონს?!? შეიშალე კაცო, თუ რას ჩივი? ბიჭო, აქეთ გამეიხედე ერთი, ბოდვაში ხომ არ ხარ! შენ ქე ართქვი რუმეო, რაცხა ჭივრება



რუმა იმან დამილუბა შვილიო; ფაიტონები აქნაი რა შვაშია?

— არა, კი მარა, რა მქონდა ზორი, ჩემო ძამიავ, ბალანაიზა რომ შეხიდება მქონდა, დობტური მყოლოდა?

— მერე?

— მერე და აგერ გეტყვი: შენ ქე იცი რა-ფერ მოშივებული ვართ ჩვენ დობტურებზე. იაკინთაი ფერშალი ქე მყავდა ბალანასან, მარა იმან „იტო ნიჩაო, პუსტიაკო“ და ხინაი გამოუწერა და დობტურს დაუძახეო; რაფერ მომეყვანა დობტური; აქნაი, შენც კი იცი ორი კაკალი დობტურია და...

— მერე და ვერ მეიყვანე? ორივე შენ ახლოს არ არიან აგერ ყურის ძირში? შინ არ იყვენ?

— ვაი ჩემ დღეს, შინ იყო ორივე მარა, ჩემი ცოდვით საფსე კეკიეშვილის ფაიტონს, ჩემს ამოსაგდებლათ ლილვი გატეხოდა და მამინაიშვილის ფაიტონი კიდევ ვინცხა აფიცერს წეყვანა ნატანებში.

— მერე და ფეხით ვერ წამევიდენ?

— ფეხით რაფა გავრჯიდი დობტურს, არც იგინი იკადრებდენ ფეხით მარა...

— კაი და... ორმოცი ფაიტონია და ყველას რამ გუუსკლიცა მიწა მაშინ?

— რაფა, შენი საქმე მაკვირებს, გოჯასპირ ხწორეფ. რა მიგაბუნძულეხდა ბათუმში დობტურიზა თუ აქნაი გესაშვალეხოდა, არ იცი, რა დღეში ვართ?

— მე რუმ ბალანაი გამიხთა გონჯაი, მაშინ არც ერთი დობტური არ იყო აქნაი, საცხა-საცხა წეყვანენ და ამიზა...

— კი, შინ ქე იყვენ მე, რუმ დამჭირდენ, მარა ერთმა მითხრა: თუ კეკიეშვილის ფაიტონს მომიყვან ვნახავ შენს შვილსო, მეორემ—თუ ჩემი წაყვანა გინდა მამინაიშვილის უფაიტონოთ ფეხს ვერ გადამადგმიებ, ვერას დიდებითო.

— ღმერთი დაფსებს იგინს! რაფა თაფლი ხომ არ ცხია ამ ფაიტონებს, ეგება იგინს კივრება არ წამოყოფა და იმიზა უნდებიან იგინი!

— რა ვიცი, რა ვიცი, მე კი ამომადგდეს და დამლუპეს, კაცი!

— ჰე, ჰე, საწყალო ესიკავ!

გამევიცლი აგერ ტანისამოსს ჭ მუალ შენთან გი-

ტირებ, ძმაო, გამაგრდი, ბიჭო, ღმერთია მოწყალე, ნუ წახტებით თლათ, სირცხვილია!

— ღმერთმა ნუგეში ნუ მოგაკლოს, ჩემო გოჯასპირ, ყორისფელ ფათარაკს ავაშოროს. მშვიდობით იყავი...

ამ საუბარს ყური მოვკარი მე, უცხოეთიდან ჩამოსულ სერ-ჯორჯმა.



### მესტვირული.


(საშურისათვის)

ქვეყნისა ორომ-ტრიალმა კვლავ შეაბრუნა კეხია, სიმართლეს ვილა დაეძებს ბნელეთს გაუდგამს ფეხია. სადაც ერთგულად საქმობდენ— დღეს ერთგულება წამხდარა; გუშინწინდელი მოყვარე დღეს შენი მტერი გამხდარა. ობობებს ქსელი გაუბამთ სიმართლის დასაქერადა; და ვაჰ, თუ მეცა შიგ მოყვევ ობობას ქსელში კირადა. მაგრამ ბედს მაინც არ ვუდრკი ხელში ავიღე სტვირიო, თუმცა დღე და ღამ მეშინის არ შემილახონ ცხვირიო.



მაშ ეგრე, გულა-ნაბალო,  
 ბანს მღმცემს ჩემი სტვირიმე,  
 მედგრაო, ნუ შეგეშინდებათ  
 თქვენი გამჩენის ჭირიმე!  
 ჰირველაო ვაჭრებს ვეწვიოთ  
 მუხრუქს რო უჭერს ყველასო;  
 (კერძოთ კი ჩვენსა გიგუცას  
 თავი რო უგავს მელასო).  
 ბევრი მინახავს მე მისგან  
 გაყვლეფილ-ანატირები,  
 ორი გროშისთვის ნათრევი  
 ბეჩავი გლეხის შვილები.  
 მაგრამ, დახედეთ განგებას,  
 ვაჭრებს აკლდებათ ფულები!  
 გახსნეს საერთო დუქნები  
 მათ ჩამოყარეს ყურები.  
 სტირის დიმიტრი, გიგუცი,  
 გულს ეკიდებათ გენია;  
 (მართლაც რომ სატირელი აქვთ  
 გლახა დაუდგათ დღენია)...

**ქარ-ციცხლი.**



**ბულაპარის სოფლის რაინდავს.**

(უსტარი ბიძია კუშაკთან)

ამ ვაჭბატონთა ოინებს  
 სრულად ვერ გეტყვი ცხადია,  
 მაგრამ ცოტა რამ გაუწყო  
 სული და გულით მწაღია.

მინდა გაცნობო, ბიძიკო,  
 ჩვენს გლეხებს რაც დღე აღვია,  
 „სტარშინა“, მისი მწერალი  
 სოფელს თუ როგორ არვია.

თუმც მათი გულ კეთილობა  
 ათასჯერ განაცადია:

გლეხი „სტარშინის“, ღუშაა  
 მწერლის ცვირანი მწვაღია.  
 დროით სარგებლობს ყოველი  
 ასეა ჩვენი „სტარშინა“,  
 თუ ვინმეს რამე გააჩნდა  
 არავის არ შეარჩინა.

სამ-სამ აბაზად იყიდა  
 გლეხიდან ფუთი სიმინდი,  
 რვა-რვა აბაზად მიჰყიდა,  
 რა ჰქნას დაუდგა ამინდი.  
 ძვალ-ტყავი იყო მოსვლამდე  
 დღეს ღიპი გაუბერია,  
 ხუთ თუმნად ისლამს წაართვა,  
 ცხენი და უნაგერია.

ეს არ იკმარეს, ძიაჯან,  
 ბანკსაც ჩასქიდეს ხელიო,  
 სამმა ობობამ გააბა  
 სოფლად თავისი ქსელიო.


წვრილ საკრედიტო ბანკისა  
 არა სწამთ არაფერიო,  
 რადგან გამხთარა იმათი  
 დაუცხრომელი მტერიო.

— ვინ მოიგონა ეს ბანკი  
 სოფლისა დამლუპველიო,  
 საწყალი გლეხი კაცისა  
 გამყვლეფი, გამცარცველიო.  
 ათას წილად სჯობს, რო ჩემგან  
 წაიღოს გლეხმა ფულიო,  
 ხუთ ექვს შაურის პროცენტით  
 გამომიბრუნოს გულიო.

მაქვს იმედი რომ მათრახით  
 მოხვალ და მომეხმარები,  
 თორემ ამათ რას უშველის  
 წანაღლეტ ფული ქრთამები.

აბა შენ იცი ძიაჯან!  
 შენ გიცდი, მნახე, გელიო,  
 რომ შესთავაზო „სამეხას“  
 შენი მათრახი მწველიო...

**ამბროსის ობოლი.**





# წიწაკის გოზინაყი. \*)

(ნობათად ველისციხელებისათვის)

მ — ს.

წარსულ წლისგან — ვერაგისგან,  
მოშავალი მოგცემს „არასი..“

კან — ს.

მძინარას ვით გამოაგონებს,  
ხალხის განგაშ., ღრიალი?!..

სუდ — ს.

არც იყავით, არცა ხართ და არც იქნებით,  
არაფრისგანა — არაფრადვე გარდაიქმნებით!..

მწ — ს.

თუ უპატრონო ეკლესიას  
ეპატრონებიან ქაჯები,  
მაშ ველისციხე შენია  
თუმც ბევრს არ ეპიტნავენბი...

სბერ — ს.

ოხერმა ცივმა ზამთარმა  
მთლად გამოაშრო ფურები,  
რძე შემოგაკლდათ, გეტყობათ,  
რომ დაგიშვიათ ყურები!..

სულას მ — ს.

შეუფერებელ გარემოებას  
აგერ განიცდიო, სულის  
სისწრაფით მიისწრაფით  
და ჟამნს კი აღარ უცდით...

EH — ს.

თუ საფანელი შემოგაკლდა  
მიჰმართევი „კუზნეცასა“, \*\*)  
იგი მასალეგსაც მოგცემს,  
თან გიჩვენებს სწორე გზასა...

ქსენანს.

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...  
და ვითომც კი გაიღვიძებს?  
წამოდგება, პირს დაიბანს  
და მუშებს წამლებით გაავსებს?!..

\*) რადგანაც წელს დედამიწის მოუსავლობის გარდა, აერთოთ თვით ხეხილის მოსავალიც არ იყო და ამის გამო, „ნიგოზი“ სრულეებით არ იშოვება, აი ამიტომ ეხლა ჩვენმა დიასახლისებმა „წიწაკის გოზინაყის“ კეთება შემოიღეს.

\*\*) „კუზნეცა“ გამოჩინებული პირია ველისციხეში და ცნობილი, როგორც გამჭრიახე მკერმეტყველი და იურისტი.

აფ — ს.

განუღვევი ხალხს შევებისა კარი!..

გბ. გ — ს.

დაიხსომევი მხოლოდ ჩემგანა: —  
„ვინც რამ უნდა თქვასო-წისქვილმა კი ფქვასო!“

ერთობ ვაჭ — ს.

იქნებ მეოცე საუკუნემ,  
ავიხილოთ მაინც თვალი?  
გაგრძნობინოთ... არა, არასი..  
„კაცისადმი“ კაცის ვალი?  
„ტყუილია სულ თქმა უმი  
„კაცად“ ვერ განდებით თქვენა,  
მოციქულებათაც რო მოგვევლინოთ  
მზი, მთვარე და თითონ ზენა!..

ვაჭ. „ერთობას.“

იმას უწოდებ მებრძოლად,  
ვის ბრძოლისა არ ეშინის!..

სოშ — ს.

ოჰ, ველისციხევე — „ქაჯეთის ციხე“  
უნდა გერქვას შენი!

ხელიკს.

ხელიკო, რას ხელიკობ, მონახე  
ჯაგი და მყუდრო მზიანი,  
თორემ მაგ ხელიკობისათვის  
იქნება ნახო ზიანი;  
სოფლის მსხვილი ალ-ქაჯები,  
გინდა რომე მოარჯულო?  
მაშინ, ძმაო, დაგჭირდება  
მათ გოგრებასთვის დიდი ურო!..

უგოზინაყო ძღარბი

## ფ მ ს ტ ა

„კბილის მატლს“.

„არ გიკვირს ძმაო ოთარა,  
ეგ რა ამბავი მომხდარა,  
გერმანელები წამხდარა,  
რუსისგან ბევრი გამსკდარა“.


ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ ჩვენი გონებითი ნაწარმოები, რომელიც წინამორბედია...

სარედაქციო გოდრისკენ მიმავალი, რათა ამცნოს იქაურობას მოსალოდნელი თავდასხმა შემდეგი წერილებისა.

ფინდისხ. (ნ. გ.) როდესაც ვისმესგან პასუხს თხოულობთ, მიღებულა საკუთარი მისამართი (აღრესი) აცნობოთ.



# ვის რა ლოდი აწევს.



ტინჯა

მეცნიერება საღაა!